№ 62 მარტი 22, ხუთშაბათი 1890 მარტი 22, ხუთშაბათი № 62


გაზეთი ღირს

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 9 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური


# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას კუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზე.
ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1890 სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1890

## ივერია

გამოვა 1890 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდ ე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1890 წლისათვის, მიჰმართოს:

ტფილისში: ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლს პირდაპირ, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

В Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელ იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის შესახვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.


ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 22 მარტს,

ქართულის დრამატიულ დასის არტისტების მიერ

ერთის უმაწვილის კაცის სასარგებლოდ

წარმოდგენილი იქნება:

I

გაიყარნეთ

კომედია 3 მოქმედ., თხზ. სარდუსი.

II

ქალი სამხედრო ტანისამოსში

კომედია ერთს მოქმედებად, ორ-ანისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი საფაროვისა, გაბუნია-ცაგარლისა, ავალოვისა, მელიქოვისა, ჩერქეზიშვილისა; ბ-ნნი აბაშიძე, გუნია, ცაგარელი, განდელაკი და სხვ.

დივერტისმენტი

ბ-ნი აკაკი წერეთელი წაიკითხავს ახალს ლექსებსა და იმერულს სცენებს.

ქ-ნი გაბუნია იმღერებს ქართულს ხმებს.

ბ-ნი სარაჯოვი დაუკრავს ვიოლონჩელს,

ვ. აბაშიძე იგალობებს ახალ კუპლეტებს ჩვენის დროის გმირებზედ.

ნ. ერისთავი წაიკითხავს ლექსებს.

აღნიაშვილის ხორო იმღერებს სხვა-და-სხვა ხმას.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი 8 საათზე


## ახალი ამბავი

*** გუშინ, 21 მარტს, დიდუბის ეკკლესიაში გადახდილ იქმნა ორმოცის წირვა განსვენებულ დიმიტრი ბაქრაძის მოსახსენებლად. მწირველი ბრძანდებოდა ყოვლად სამღვდელო ალექსანდრე თანამწირველობით ქალაქის არქიმანდრიტებისა და მღვდელთა. წირვის შემდეგ პანაშვიდი გადაიხადეს თვით განსვენებულის საფლავზედ. ხალხი ბლომად დაესწრო.

*** აქამდე ბრალდებულთა და პატიმართა ნება ჰქონდათ წერილები დაუბრკოლებლივ მიეღოთ ხოლმე ციხეში. ასეთს მიწერ-მოწერას ხშირად მოსდევდა გამრუდება გამოძიებისა, რადგან ბრალდებული წერილების შემწეობით არა იშვიათად თავის საქმეს ან აქედამ უვლი და, ან იქიდამ და ამ სახით თავს აღწევდა მართლ-მსაჯულების სამართლიანს მსჯავრს. დღეის შემდეგ ეს წესი შეცვლილ იქმნა ტფილისის ოლქის სასამართლოს პროკურორის განკარგულებით. ამას იქით პატიმარი და ბრალდებული პირდაპირ წერილს ვერ მიიღებს. მის წერილს პროკურორი უგზავნის ჯერ გამომძიებელს, რომელსაც მისი საქმე აქვს გადაცემული გამოსაძიებლად, და, თუ გამომძიებლის მხრით არავითარი დაბრკოლება არ არის, მხოლოდ მაშინ გადაეცემა წერილი პატიმარს.

*** სამეურნეო გაზეთის „Садъ и огородъ“-ის მეხუთე ნომერში დაბეჭდილია მ. პასეკის წერილი ბათუმიდამ. ამ წერილში ავტორი მოკლედ აღწერს ბათუმისა და მის გარემემო მდებარე არე-მარეს და ჰავა ბუნებას. ეს ქვეყანა ნესტიანიაო. სინესტეს ავრცელებს ერთის მხრით შავი ზღვა და მეორეს მხრით მიწის სიუხვე-სიძლიერეო. აქ ფრიად გავრცელებულია დაბალი მცენარე გვიმრა (ჩადუნა), რომლის მეოხებით აქაური ჭაობები, აქაური სინესტე ზაფხულის დღეებშიაც არა კლებულობს, არამედ პაპანაქება სიცხე უფრო აშმორებს ამ ჭაობებსაო. ამ დაშმორებულ ჭაობებისგან ჰავა იწამლება და ამის გამო ვრცელდება საშინელი ციებ-ცხელებაო. გვიმრა ღონიერი მცენარეაო. მასთან ებრძოლა მარტო სიმინდს შეუძლიან და ამიტომაც ხალხი სიმინდის თესვას ძლიერ ეტანებაო. თუ რომელსამე წელიწადს სასიმინდე ადგილი დაუთესავი დარჩა, იმავე წელიწადს იმავე შეუმუშავებელ ადგილს დიდის სისწრაფითა და ძლიერებით გვიმრა ედება და ჰფარავს არე მარესაო.

*** ქ. გორი: ზოგიერთმა გაზეთმა ფრიად გააზვიადეა გ. ქართველიშვილისა და ზუზემანის შენობაში ცეცხლის გაჩენის ამბავი. ერთმა გაზეთმა კიდეც აუწყა თავის მკითხველებს, რომ ვითომ ამ ცეცხლისაგან პატრონებს 30,000 მანათამდე ზარალი მოსვლოდეთ. მაგრამ ნამდვილად-კი, როგორც შევიტყვეთ, 2,000 მანათამდისაც ძლივს აღირიცხება ეს ზარალი. აი საქმე როგორ იყო: ორთქლით მატარებელიდამ ცეცხლი წაეკიდა ხის ფარდულს და ფარდულიდამ ნავთის ნაშთს (მაზუტს). მაზუტი 2,000 ფუთამდე იქნებოდა და სულ დაიწვა. ფუთი მაზუტი ფასობს აბაზად. ამას გარდა დაიწვა მხოლოდ ხის ფარდული და ყოველივე დანაშთენი შენობა უვნებლად გადარჩა.

*** სოფ. თასმალო (საინგილოში): საკვირველია ჩვენი მდგომარეობა. ჩვენ ყველაფრით ქართველები ვართ. ზნე ჩვეულებითა და ენით არაფრით განვირჩევით დანარჩენ ქართველთაგან. მარტო რჯული გვყოფს და გვაცალკევებს ჩვენთა ქრისტიანე მოძმეთაგან. მაჰმადიანობა ჩვენში და ჩვენ ახლო-მახლო მდებარე სოფლებში (ალიაბადი, ვერხიანი, ზაგანი, მარსანი, სოსიკანი და სხ.) გავრცელდა მხოლოდ ეხლა-ხანს. წინად-კი, აქაურ სულთნების დროს, ჩვენ თუმცა მაჰმადიანებად გვსახავდნენ, მაგრამ ჩვენ არას დროს ეს რჯული არ გვიწამებია და ქრისტიანობისათვის არ გვიღალატნია. ქრისტიანობისა, ჩვენის ენისა და შთამომავლობისათვის ხშირად ჩვენნი მამა-პაპანი უწამებიათ და შამფურებით დაუდაღნიათ, მაგრამ მაინც არ უღალატნიათ თავის რჯულისა, ზნე ჩვეულებისა, ენისა და თვითარსებობისათვის. ეხლა-კი სულ სხვაა. ჩვენი მეზობელი სოფლები ივიწყებენ ენასაც, ზნე-ჩვეულებასაც და ქრისტიანობა ხომ სრულიად აღარა სწამთ და მაჰმადიანობენ. მარტო თასმალოა, რომელმაც მეორეჯელ, თუ მესამეჯერ საჯაროდ ქრისტიანობა ჭეშმარიტ რჯულად აღიარა და უმეტესობა კიდეც მოინათლა. მაგრამ ვაი, რომ უეკკლესიო-უმოძღვრობამ დიდს გაჭირებაში ჩაგვაგდო. ჩვენი მკვდარი დროზედ არ იმარხება, ჩვენი სულთ-მობრძავი უზიარებლად სულსა ჰლევს, ჩვენი ქრისტიანები უწირვა - ლოცვოდ რჩებიან თვით აღდგომა დღესაც-კი. იმედი გვაქვს, რომ მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა საქართველოს ეგზარხოსი პალადი, გაიგებს რა ჩვენს გაჭირებას, ჩვეულებრივის გულ-შემატკივრობით მოგვხედავს ჩვენც. უმწყემსობის გამო აქაურმა მოლებმა ლამის ქრისტიანობა ძირიან-ფესვიანად ამოფხვრან ამ მრავალ-ტანჯულ ქვეყანაში და ნუ თუ ჩვენც არა გვმართებს იმათ საწინააღმდეგოდ ვილონოთ რამეო.

*** მარტის 20, პოლიციის მეცხრე ნაწილში, ალექსანდრეს ქუჩაზე, მეჯვრისხევის მცხოვრებელს გლეხს სანდრო გურგენოვს პორუჩიკის სერგეევის სადგურის ეზოდამ სარეცხის მოპარვა უნდოდა. როცა თოკიდგან სარეცხს ღებდა, ამ დროს შენიშნა იქვე ერთი ჯარის-კაცი და გაიქცა, მაგრამ პოლიციელმა მოასწრო, შეიპყრო და სასამართლოს გადასცა.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

სოფ. ბოდბისხევი (სიღნაღის მაზრა). ამ მარტის 12 ბოდბის ხევში იყო სოფლის მოხელეთა არჩევანი, ბრძანდებოდა აქ სიღნაღის მაზრის უფროსი ბატონი მესხიშვილიცა და

---

## ფელეტონი

### ხიდია ჩატეხილი

მოთხრობა

XV*)

5 ივნისს გაირჩა საქმე სოსესა და გლეხების შესახებ. სასამართლოში თვით ნიკო იყო სოფლელების დამცველად. ამბობდნენ, რომ ნიკომ გულმხურვალედ და დიდის გრძნობით ილაპარაკა სასამართლოშიო. გაზეთებში მეორე მესამე დღეს დაწვრილებით იყო დაბეჭდილი ეგზეკუციის ამბავი. ერთი ნომერი ასეთის გაზეთისა ეჭირა ბილილაშვილს ხელში, როდესაც ის შუადღისას თავის სახლში შევიდა. ის ის იყო მკერვალი ქალი სახლიდგან გასულიყო და ქერივი ვარინკას უჯავრდებოდა:

— ქალო, შე დაწყევლილო, ყურებიდგან ბამბა გამოიძრე: რითი ვერ გაიგე? არა მაქვს, არა! ღარიბი ხარ, შენ გაგაღარიბოს ღმერთმა!

— მაიცა, დედა, რად სჯავრობ! ახლა ჩემიც გაიგონე: შენ თითონ ამბობ, რომ ჩემი საქმრო, ესე იგი, ჩემი ქმარი მდიდარიაო და დიდი ნათესავების პატრონიო. აბა ახლა დაფიქრდი: ტიტველა ხომ ვერ გამისტუმრებ, რომ საცინლად ამიგდონ და იქნება სახლშიაც არ შემიშვან! აბა ერთი, რომელი რუსული წიგნიც გინდა გადაშალე; ყველგან წაიკითხავ, რა არის საჭირო სულ ღარიბ ქალისათვის! აი, რა არის საჭირო: სხვებს თავი დავანებოთ, მარტო კაბები მოვთვალოთ: სულ უკანასკნელი... უკანასკნელი— შვიდი სავიზიტო კაბა, შვიდი სასტუმრო, შვიდიც საშინაო და სულ უკანასკნელი ექვსი საბალო. მთელი ქვეყანა ამ წესს მისდევს, იმიტომაც არის დაწერილი; მაგრამ... მე მეცოდები, კარგი დედა ხარ, და იმიტომ მარტო ნახევარსა გთხოვ; ე. ი. ნახევარ კაბას ხომ არ ჩამაცმევ-და, მაშასადამე სასტუმრო, საშინაო და სავიზიტო კაბები ოთხ-ოთხი შემიკერე და, რომ ყველა ოთხ ოთხი იყოს, საბალოც ოთხი იყოს; არა, დედა? ლაპარაკი აღარ უნდა!

— არა მაქვს-მეთქი: შე დასაბრმავებელო, ახლა ჩემ ჯიბეშიაც ჩამომხედე და!

ჯიბეში ჩახედვა რა საკადრისია! შენგან არ მიკვირს, დედა, მაგას ამბობ! ჯიბე-კი არა, კაბები, კარგი კაბები მინდა! კაბებს რომ მომიტანენ, ფულები თავის თავად ამოძვრება ჯიბიდგან. ღმერთს გეფიცები, მართალს გეუბნები! წელან შენ ამბობდი, გროში-კაპიკი არა მაქვსო; მკერვალმა რომ კაბა მომიტანა, უცბად თხუთმეტი მანეთი გაჩნდა. შენ ნუ იფიქრებ, დედა! ფულებს შენი ძელი ჭეშმარიტი გამოგიგზავნის— „ამისი ვარინკას კაბა უყიდეო და ერთი კარგადაც დასწყევლეო“. ხა! ხა! ხა! ასე არ არის?

— უი, შენ გაგიწყრეს...

— აი, აი დედა! ათას ხატზე დავიფიცავ: ეხლა ძელი ჭეშმარიტი კონვერტში ფულსა სდებს გამოსაგზავნად: მის მაღალ კეთილშობილებას.

— რას მიჰქარავ, შე დაწყევლილო! რა შენი სახსენებელია—იმისი მადლიკი გაგიწყრეს! მომშორდი, გულს ნუ მიხეთქავ! ვანო არ მომიკვდეს და იმ ჩემი ქმრის სული არ წამიწყდეს, მე შენ აღარა გიყიდო-რა! აქამდინ რაც გიყიდე, იმასაც ვნანობ. ჩემს ჭირს, თუ არ გათხოვებულხარ! ისემც გიქნია, წყალში თავი დაგიხჩვია!

— მოიცა, დედა, ჯერ სამაგისო რა გამჭირებია, რომ თავი დავირჩო. მაგისთვის როგორ გაწყევინებ! არ გინდა, ნუ გინდა. ოღონდ შენ იყო ჯანმრთელი, ოღონდ შენ ნუ გაჯავრდები, ჩემო დედა, და მე უზედურად დავბერდები! ამაზე არ არის ჩემი ლაპარაკი? ასე, ჩემო დედა!

— ღმერთმან არ დაგაბეროს! წადი, წაეთრიე, რაღას აგვიანებ, შე ურია, შენა, საკაბე ამოირჩიე!..

— აკი გითხარი, დედა!..

— რა მითხარი, შე დაწყევლილო! ოი, შენი კუბოც მინახავს, ჰო, და ასე.

— ეგ ხომ მეც ვიცოდი, რომ მაგას მეტყოდი! ეგ არაფერი!.. იცი, დედა, კუბოზე მომაგონდა: ერთი ამხანაგი მომიკვდა და, რომ კვდებოდა, საწყალმა ეს სიტყვები სთქვა: „ქალი მაშინ არის ბედნიერიო, როდესაც თავის სიცოცხლის ყოველს წამს (secundi) თითო თუმნად ისვამსო“. ჭეშმარიტად, რომ მართალია და მე აგერ რამდენი თორმეტი თვეზე მეტია, შენთან ვარ და თორმეტი გროშიც არ დამიხარჯავს!

— უი, იმდენი თორმეტი სახარების მადლი გაგიწყრეს, შენა!

— ხა! ხა! ხა! როგორ გაჯავრდი! ეგ არაფერი. შენ დამწყევლე. თორმეტი სახარება თავზე მაყარე,—ოღონდ თორმეტი სახარების ფურცლები შენ თუმნებად მიქციე და ამ ჩემ პატარა ჯიბეში ჩამიწყე.

— კიდე თავის სულელობას არ იშლის.

— აღარა, დედა, აღარა. ნუღარ დამწყევლი, კარგ გუნებაზე ვარ. სახარებაც შენი იყოს, მაცხოვარიცა და ძელი ჭეშმარიტიცა. ესეც კი უნდა ვსთქვა, დედა, რომ მე იმათაგან ძალიან დავალიანებული ვარ: იმდენი ფული მაშოვნინეს! მაგრამ არა უშავსრა. როგორც რომ გავთხოვდები, ყველას დიდრონ-დიდრონ კელეპტრებს დაუნთებ. აგერ ვანოც მოდის. წადი ილოცე, დედა. მე აღარ მჭირიხარ.

— შენც ილოცე, შვილო, თორემ

*) იხ. „ივერია“ № 45, 46, 48, 49, 51, 52, 54, 55, 56, 57, 59 და 61.

სხვანი. ბოდბისხევის საზოგადოება, მას აქეთ, რაც შემოვიდა სასოფლო დებულება, ყოვლის ღონისძიებით სცდილობს, რომ იპოვნოს იმისთანა კეთილ-საიმედო და კეთილ სინიდისიანი კაცი, რომელიც კეთილად აწარმოებდეს სოფლის საქმეს, მაგრამ ვერა და ვერ ეღირსა, ხან ერთი სცადა, ხან მეორე, ხან მესამე, მაგრამ ვერავინ ვერ აუსრულა საწადელი და მოსალოდნელი იმედები. ზოგნი თავიანთ ჯიბეს უფრო ჩასცქეროდნენ, ვიდრე სოფლის საქმეების რიგიანად წარმოებას. ბოლოს საზოგადოებამ სცნა რა, რომ თითქმის ყველა თავისთვის სცდილობდა და სოფლის კეთილდღეობისათვის არავინ ჰზრუნავდა, ირჩია, რომ ჯამაგირით უფრო იშოვნის კეთილ-საიმედო და სინიდისიან კაცსა, ვიდრე უჯამაგიროდ. აგერ იქნება რამდენიმე წელიწადი, რაც საზოგადოება, ჰხედავს რა ზაქარია (მაქრო) ნაცვლიშვილს, განსვენებულის იოილ დეკანოზის შვილს კეთილ საიმედოდ, სთხოვს, რომ მან, არ-მიმხედველმა თავის წოდებისამ, იტვირთოს ესეთი მძიმე საქმე საზოგადოებისა, მაგრამ იგი ყოველთვის უარს აცხადებდა. ამ კრებაზედაც, რომელზედაც დაესწრო თითქმის 500 ოჯახიშვილი, დიდის თხოვნითა და ხვეწნა-ვედრებით მიჰმართეს, რომ საზოგადოება გამოეყვანა გაჭირებიდგან და მიეღო თქმული თანამდებობა და რასაც ჯამაგირს ითხოვდა, საზოგადოება უეჭველად გადაუხდიდა. საქმემ იქამდის მიაღწია, რომ კომლზედ თუნდა სამი მანეთი და მომეტებულიც ეთხოვნა, საზოგადოება უარს არ განაცხადებდა. შემდგომ საზოგადოების მრავლის ხვეწნისა, ბატონის მაზრის უფროსის, ბოქაულის, მღვდლებისა და სხვათა პატივსადებთა კაცთა რჩევას დაუჯერა. ამათ უთხრეს, რომ „რადგანაც თქვენ ხართ მცხოვრები ბოდბისხევისავე საზოგადოებაში, ხართ ამათი მეზობელი და გამართული ყოვლის საოჯახო გაწყობილობით: ხვნით, თესვით, სახლკარით, საქონლით, ბაღებით, ფუთკრით, ერთის სიტყვით, ყოველისფრით და თქვენს საქმეს კარგად აწარმოებთ, სოფელსაც, როგორც იმედიც აქვს, უეჭველია აუსრულებთ გულის წადილსა და სიკეთეს მიანიჭებთ. თქვენ სოფელს არაფერზე არ შეუხარბდებით, რადგანაც არაფერში არ საჭიროებთ და ღმერთს თქვენთვის უხვად მოუცია ყოველი საცხოვრებელი, თქვენგან ბევრი ღარიბი, ქვრივი და ობოლი წავა იოლას და გაჭირებული გაიმართებაო". ამის შემდეგ დაითანხმეს ბ-ნი ზაქარია ნაცვლიშვილი და ჯამაგირიც ბევრი არა მოითხოვა რა—კომლზედ ერთი მანეთი წელიწადში. იმის თანხმობის გამოცხადების გამო საზოგადოება მეტისმეტს აღტაცებაში მოვიდა და მიეცა სიხარულსა და მხიარულებას. ამაზედ მაშინვე შეადგინეს განაჩენი და ყველამ ხელი მოაწერა. იმედია, რომ მთავრობაც არა ბრძანებს უარს ნაცვლიშვილის დამტკიცებისათვის და თვით ახალი მომავალი მამასახლისიც ამდენს საზოგადოების თხოვნასა და იმედს არ ჩაატარებს უნაყოფოდ და კეთილს ნაყოფს გამოიღებს, როგორც ბრძანებს მაცხოვარი: ყოველმან ხემან კეთილმან ნაყოფი კეთილი გამოიღოსო.

მ. ნ. მ.

---

სოფ. ლეჩი (რაჭის მაზრა). აგერ თოთხმეტი წელიწადი სრულდება მას შემდეგ, რაც სოფ. ლეჩში საერო სკოლა დაარსებულა და ყმაწვილებს სწავლა დაუწყიათ. ამ თოთხმეტის წლის განმავლობაში ამ სკოლას ექვსი მასწავლებელი გამოუცვლია და არც ერთს მათგანს სამ წელზედ მეტი აქ არ გაუთევია და ვერც არაფერი ბევრი სარგებლობა მოუტანია სკოლისათვის. მიზეზი შემდეგი გახლავთ: ეს სოფელი ისეთს მიყრუებულს ალაგას არის და ისე დაშორებული ყველასავე, რომ ხალხი თითქმის ველურია და სწავლა განათლებას, როგორც ძველ ჩვეულების მიმდევარი, ძალიან ერიდება. ქ. ქუთაისიდამ, სადაც მოსწავლეებისათვის სასწავლო ნივთებისა და სხვა-და-სხვა მასალების შოვნა შეიძლება, თითქმის ას ორმოც-და-ათის ვერსის მანძილზედ არის დაშორებული და, ადვილი წარმოსადგენია, რა ძვირად დაუჯდებათ ყმაწვილებს ამ სიშორიდგან სასწავლო ნივთების მოტანა და იმასაც თავის დროზედ ვერ ეღირსებიან. სკოლა პატარა ოთახშია მოთავსებული და შიგ, სამის დამტვრეულის სტოლისა და ერთის დამტვრეულის და ლაქ-გადაცლილის საკლასო ფიცრის გარდა, ვერას ჰნახავთ. სკოლის ბიბლიოთეკაში ერთი ხეირიანი და რუსული სახელმძღვანელო წიგნი არ მოიპოვება. ქართული წიგნი ხომ სულ არ არის, არც კარგი და არც გლახა. მოსწავლეებს ხეირიანი დასაჯდომი სტოლი არა აქვთ, რომ ზედ თავისუფლად დაჯდნენ და სწერონ. სასწავლო ნივთებს თავის დროზე ვერ შოულობენ. წიგნისთვის რომ როგორმე ფასი მოახერხონ და გაგზავნონ, ორი სამი თვეე იმას უნდა ელოდნენ და ბოლოს, მიიღებენ თუ არა, ისიც ვინ იცის. ერთის სიტყვით, ყოველისფერს საშუალებას მოკლებულნი არიან მასწავლებელიც და მოსწავლეებიც. ხან სასწავლო ნივთების უქონლობითა და ხან სხვა მიზეზით მოსწავლე, ერთი კვირა რომ დაიარება სკოლაში, ორ კვირას აღარა სჩანს. საზოგადოებას რაც დაუხარჯავს სკოლის აშენებაზედ და მასწავლებლებზედ, იმასაც ნანობს, რადგან ბევრი ვერაფერი სარგებლობა უნახავს, თორემ ეხლა მის განკარგებისა დამოწყობისათვის რაღას გამოიმეტებს. მეტი ღონე არ არის, მასწავლებელმა თავისი ჯამაგირი უნდა აიღოს და მით მოსწავლეებს სასწავლო ნივთები უყიდოს, თუმცა ნახევარს ფასსაც ვეღარ აიღებს. ან უნდა გაუძლოს მასწავლებელმა ამდენს დაბრკოლებას, ან სხვაგან გადავიდეს და ან სულ თავი უნდა დაანებოს მასწავლებლობას. მაშ რა ჰქნას? მაგრამ ქართული ანდაზა ამბობს: „ნუ შეხვალ, ნუ ებანები, ნუ გამოხვალ და ნუ თრთიო". კაცი რომ საქმეს ხელს მოჰკიდებს, თავის შეძლების და გვარად კიდეც უნდა შეასრულოს. ღვთის მადლით, აქაური მღვდელი დიდი თანამგრძნობელია სკოლისა. მისის დახმარებით წინ წაიწია სკოლამ და მოსწავლეებიც იმდენნი დაიარებიან, რომ სკოლაში გაჭირებით ეტევიან. მღვდელმა მამა მიხეილ გავაშელიშვილმა ჩააგონა ხალხს სკოლის სარგებლობა და სწავლის აუცილებელი საჭიროება და კიდეც გაბედვინა შვილების გზავნა სკოლაში. ამას გარდა სალმრთო წერილის მასწავლებლობაც იკისრა და დღემდე უსასყიდლოდ ასწავლის. ამ ნაირად სკოლას ცოტად თუ ბევრად სკოლის ფერი დაედო და სწავლაც ჯერ-ჯერობით რიგიანად მიდის. რომ ამ სკოლას საიდგანმე რამე საშუალება მიეცემოდეს, სასწავლო ნივთების შოვნა ასე ძვირად არ უჯდებოდეს და ან თავის დროზედ შოულობდეს, იმედია სწავლა ძლიერ წინ წაიწევს, მასწავლებელსაცა და მოსწავლეებსაც შეღავათი მიეცემათ.

X

---

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

ჟურნალს „Русскій Архивъ"-ში დაბეჭდილია წერილები სენატორის თ. ი. მირკოვიჩისა, რომელშიაც სხვათა შორის ძალიან საყურადღებო და საინტერესო სურათია აღწერილი რუსეთის საზოგადოებურის ცხოვრებისა მე-XVIII საუკუნეს. მირკოვიჩი ამბობს, რომ როცა დედოფალი ეკატერინე II ტახტზედ ავიდა, რუსეთის თავადაზნაურობა სწორედ ისეთი იყო, როგორიც ფონ-ვიზინსა აქვს აღწერილი თავისს „Недоросль"-შიო.

დედაკაცებმა წერა-კითხვა არ იცოდნენ; ყმაწვილებს ყმები ჰზრდიდნენ. არავინ არაფერსა კითხულობდა და ან რას წაიკითხავდნენ, როცა წიგნებიც არ იყო, ორიოდე ანბანსა და ლოცვანს გარდა. სოფლებში მცხოვრები მებატონეები მხოლოდ ყმის ცხოვრებაში ატარებდნენ თავისს სიცოცხლეს, მარტო ნადირობას მისდევდნენ, ლოთობდნენ და ცუდს ყოფა-ქცევაში იყვნენ. მარტო იმ თავადობას, რომელიც სამეფო ქალაქში სცხოვრობდა და სასახლეში იყო, მარტო იმას ეტყობოდა გარედგან ადამიანობა, ხოლო ჭეშმარიტი განათლება-კი სულ არსად იყო. ასევე უვიცი და უცოდნელი იყო სასულიერო წოდებაც-კი. მღვდელი მრევლისაგან მხოლოდ წიგნის კითხვის ცოდნით განირჩეოდა, სხვაფრივ-კი ისიც იმათთან ატარებდა დროს, დღეობის დროს მრევლთანავე ლოთობდა და ბუქნაობდა. იმ დროს დრამიაზში ისეთს მღვდლებსაც-კი შევესწარი, რომელნიც ობაზედ უფოფილიყვნენ, მთელი ღამე ქსვათ, გათენებისას ჭერუხებსავით ეყარნენ სტოლებსა და სკამებს ქვეშ, ასე რომ პოლოსკებით მიჰქონდათ სახლში დალეული მოძღვრები. გული მეთანაღრებოდა ამ სურათის მნახველს.

აი ბატონ-ყმობის ურთიერთობის შესახებ რას ამბობს იგივე სენატორი მირკევიჩი:

გლეხები ნამდვილი ყმები, მონები იყვნენ ბარბაროსთა დროისანი. მემამულე ისევე ეპყრობოდა, როგორც რქიანს საქონელს. გლეხები თავისს ბატონის სიტყვას ვერასოდეს ვერ გაიგონებდნენ ხოლმე, მარტო მოურავის ბრძანების აღსრულებაში იყვნენ და ბრმად ემორჩილებოდნენ კიდეც ამ ბრძანებას. გლეხები ანგარიშ-მიუცემლად სარგებლობდნენ თავიანთის მიწებით და რამდენიც უნდოდათ, იმდენი მოსავალი მოჰქონდათ. ორივე მხრით უკანონობა საზღვარ-დაუდებელი იყო: მებატონე იმდენს ამუშავებდა მამაკაცსა თუ დედაკაცს გლეხს, რამდენსაც მოურავი ურჩევდა, გლეხიკი ყოველისავე ბატონის ქონებით სარგებლობდა. საკვირველი ის არის, რომ ორივენი კმაყოფილნი იყვნენ და უსიამოვნებას არავინ აცხადებდა, არავინ დრტვინავდა. იმ დროს მოურავმამასახლისი დიდის ძალის პატრონი კაცი იყო, მებატონეც იმას ემორჩილებოდა და გლეხიც. მებატონე ემორჩილებოდა, რადგან თავის დამცირებად მიაჩნდა მამულის პატრონობა-ზრუნვისათვის ეგდო თვალ-ყური. ბატონიც იმისი მადლობელი იყო, რასაც მოურავი თავის სურვილისამებრ აღირსებდა და შესთავაზებდა. ჯარშიაც-კი ამ დროს ჭკუით, ცოდნითა და განათლებით მიტროფანუშკები იყვნენ, ხოლო თავის გამოდებით, გულ-სვავობით—ზკალოზუბებიო.

ასეთს სურათს წარმოადგენდა თურმე რუსეთი ამ ასის წლის წინად და ადამიანობის ნასახი ძნელად თუ ვისმე ჰქონდა.

**

ტფილისელების ნაცნობი მეჰიპნოტიზმე ფელდმანი ამას წინად ტამბოვში უფილა და საჯარო სეანსები ჰქონია ჰიპნოტობისა. სხვათა შორის პრაქტიკულადაც

---

ბოლოს ინანებ! უთხრა დედამ და ბუტბუტით მოშორდა.

— ვილოცებ, დედა, უთხრა სიცილით ვარინკამ: ვილოცებ, მანამ ისინი ფულებს მიგზავნიან და შენ იმათი ფოსტალიონი იქნები.

ვანო შემოვიდა და გაზეთის კითხვა დაიწყო.

— ვანო, მიმართა ვარინკამ: რას კითხულობ? მე დღეს ძალიან მხიარულად ვარ! დედას ერთი კაბა კიდე დავსტყუე. ჩემმა საქმრომ კიდევ კელპერის კამფეტები მომიტანა და ერთი მშვენიერი ყვავილების კონაც. ნეტა რაში მინდოდა ეს კონა! მაგრამ მაინც კარგია... დეეჩვიოს. ჰო, ორის დღით სოფელში წასულა...

— ეგეც გიხარიან? ჰკითხა სიცილით ვანომ.

— მიხარიან.

— რადა?

რადა? იმიტომ-რომ თავიდგან მოშორდა.

— ჰე გიჟო, შენა და თუ ეგრე გეჯავრება, რაღათ სთხოვდები?!

— ვინ გითხრა მეჯავრებაო! სრულებითაც არა! ყოველ დღე აქ იყო, თავის სიჩუმით თავს მომაბეზრა. ეხლა მომშორდა, პატარას დავისვენებ. მერე ისევ ჩამოვა, ისევ შემიყვარდება და ასე ამ ნაირად. შენც რომ მთელი დღე გიყურებ... მომეწყინები ხოლმე, მაგრამ დილაზე-კი შენი ნახვა ისევ მომინდება ხოლმე, ასე არ არის? ამას თავი დავანებოთ. შენ ის მითხარი: სად იყავი, ახალი ამბები რა გაიგე; ვინ გათხოვდა, ვინ ვინ მოიტაცა! ეგ რა გიჭირავს ხელში? მალე მელაპარაკე. არა მცალიან. ნურც გამაჯავრებ, ხვალ-ზეგ... მოგშორდები.

— პა, პა, პა! შენ მხიარულობა არ გატყვია, ჩემო ვარინკა! ისე ბძანებლობ...

— ხა, ხა, ხა! მაშ არ იცი, ბძანებლობას ვეჩვევი! ციც! ხმა არ ამოიღო! რაც გკითხო, ის მიპასუხე. ეგ რა გიჭირავს ხელში? მაგრამ მეც რას ჩაგაცივდი: გაზეთი როდის ყოფილა საინტერესო! ეხლა მე ჩემს რომანს ვიწყობ...

— ეს იცი რა არის, ვარინკა? რომ გითხრა: წამიკითხეო, შემეხვეწები — ნიკოს ლაპარაკია სასამართლოში.

— ნიკოსი? მაგ სახელმა მასიამოვნა, მაგრამ წაკითხვით-კი... წაიკითხე, არ გაწყენინებ. მხოლოდ ბოლოდგან დაიწყე.

— აი სულ ბოლოს წავიკითხავ... არა, ჯერ ცოტა ზეით, რომ უფრო გასაგები იყოს. ჰო: «ივანეს ჩვენებაზე გლეხ-კაცებმა ყვირილი შეჰქნეს: „სტყუისო" და რამდენჯერმე ჩვენებაც გააწყვეტინეს.

მოწამე შიო. ბატონო მსაჯულო, არ მინდოდა-მეთქვა, მაგრამ რაკი ეგ ულმერთო სოსეს ასე უსვინიდისოდ ქურდობასა სწამებს, ნამუსზე ხელს ავიღებ და ვიტყვი. ქვეყანამ დამცინოს! ამაზე მეტს რას დამაკლებენ! ის უნდა მომეხსენებინა: წინა ღამეს ეგ ივანე, ბატონო, უფროსთან ვახშმად სკდებოდა. მე გარედგან ყურს უგდებდი.

მსაჯული. რად უგდებდი ყურს?

შიო. მე ხომ არ მინდოდა ყურის გდება, ბატონო! მე მაგ ულმერთოს გარედ უცდიდი: ცემა მინდოდა.

მსაჯული. რადა?

შიო. კიდეც მაგის თქმა მიჭირდა, შენი ჭირიმე! მაგრამ ვიტყვი: რადა და იმიტომ, რომა ეგ ივანე ჩვენს სახლებში ლამე ჩაფრებს აბინავებდა. მე მაგ უსჯულოს უთხარი, ამაღამ სახლში არ ვიქნები, ჩაფრებს ნუ მოიყვან, დედაკაცი მარტოა-მეთქი. მაგ ულმერთოს მაინც მოეყვანა და... ვაიმე!.. არ ვიტყვი არა!.."

— ხა, ხა, ხა, გაიცინა ვარინკამ: საწყალი! ხა, ხა, როგორ გულ დამწვარია!

— მოიცა ვარინკა, ყური დაუგდე: საცაა ნიკოს ლაპარაკიც იქნება..

— დამეხსენ, თუ ღმერთი გწამს! რაში მეკნაჭება! მაინც, თუ ძალიან გინდა, სულ უკანასკნელი სტრიქონები წაიკითხე, რომ მალე გაათაო.

— ოჰ, ვარინკა, ეგ როგორ შეიძლება:

— იცი ვანო! ეხლა რომ ნიკომ მთხოვოს ხელი... შეიძლება იმას უფრო გავყვე, ვიდრე ჩემს საქმროს, თუმცა ეს უფრო მდიდარია.

— ოჰ, ვარინკა, მე შენგან მაგას არ მოველოდი. მაგას როგორ ამბობ! მაშ შენ ფულებს ეძებ და არა კაცს.

— ხა! ხა! ხა! ვანო, შენ, გეტყობა, ცოლ-ქმრობის არა გესმის რა: სადაც ფულია, იქ სიყვარულიც არის. შენი ცოლი უბედური იქნება, ეს მე ნადვილად ვიცი. მე-კი... მე რომ ჩემი ცხოვრება აგიწერო — გაგიჟდები, და რომ არ გაგიჟდე, არ აგიწერ. არა, ხუმრობის გარედ. ვანო, მე წელან ტყუილი ვსთქვი — ნიკოს არ გავყვები. მე დღეს ჩემი საქმრო უფრო... როგორ გითხრა?.. მომწონს. დიახ, მომწონს და თუ მერე... შემძულდა.:. სიყვარულს ხომ გულს ვერ დაუკეტავ! ნიკო sera en résérve.

— რას ამბობ, ქალო: გააწყვეტინა სიცილით ვანომ.

— Tais-toi.. დედა მოდის.

— ქალო, შენ კიდევ აქა ხარ შე დაწყევლილო! უთხრა შემოსვლის უმალ ქვრივმა.

— დედა! ისე ნამდვილად ვიცოდი, რომ შენ ჩემთვის წყევლა მოგქონდა. აბა რა გინდა? აქა ვარ და ეხლა მივდივარ. Au revoir, ma petite maman! უთხრა ვარინკამ სიცილით და ცქრიალით გაიქცა.

— იცი, რა გითხრათ. შემოსძახა მან სარკმლიდგან: მე ჯერ-ჯერობით ორს რამეს ვინატრი: შენ დედა სულ მწყევლო და კაბები მიკერო, შენ mon cher ვანო, ჩემს მსაჯულად, გაგხადონ ჩემმა სალოცავებმა.

პალიკო ყიფიანი

(შემდეგი იქნება

დიდი სარგებლობა მოუტანა ფელდმანს აქ ყოფნამ ტამბოველებსაო, სწერს იქაური „Губернскія Вѣдомости“.

აქაურის ერთის შეძლებულის მოხელის ქალს ყვავილს შემდეგ რაღაც ახირებული სენი დაემართა; ხნედა წამოუვლიდა ხოლმე და ან გული წაუვიდოდა, დავიწყებას ეძლეოდა. ამ ქალის ოჯახს დიდი ადგილი უჭირავს აქაურს საზოგადოებაში, მშობლები მალიან სცდილობდნენ იმის მორჩენას, მაგრამ ვერა მოუხერხეს-რა. ამასობაში ჩამოვიდა ფელდმანი და ჰიპნოტიზმის საშუალებით ერთიან განკურნა, ერთიან მოარჩინა ეს ყმაწვილი ქალი.

ბოლოს გაზეთი სამართლიანად ამბობს, რომ, თუ მართლა ასეთი სასწაულებრივი ძალა აქვს ჰიპნოტიზმს, ვინ იცის იმისი რიგიანად და ჯეროვანად გამოყენება რამდენს სარგებლობას მოუტანდა კაცობრიობასაო!

## უცხოეთი

გერმანია. კაპრივი'ს ნაამხანაგარი სკოლაში ასეთ კაცად გვისახავს ბისმარკის მოადგილეს: «დღემდეო, ამბობს ის კაცი,—კაპრივი შორს უდგა პოლიტიკურს ცხოვრებას და დასთა ერთმანეთობაში არ ერეოდა. კონსერვატორობაში აღიზარდა და მხედრობაში სამსახურმა უფრო განამტკიცა მისი კონსერვატორობა. საპოლიტიკო წრმენანი-კი აქვს, მაგრამ დასობანას თვალთა-ხედვის ისარი ხელში არას დროს არა სჭერია. ამისთანა კაცი, რომელსაც არც სურვილი ჰქონია, არც თაემოყვარეობა მეტად დიდი, სრულიად მოულოდნელად ჩავარდა დღევანდელს მდგომარეობაში ბისმარკის მოადგილედ დანიშნვის გამო. მგონია, თავის დღეში იმისი ნატვრა კორპუსის კომანდირობას არ ასცილებია. კაპრივი ხუთს წელს იყო მინისტრად და რეიხსტაგში ლაპარაკის დროს ყველაფერს ერიდებოდა ისეთსა, რაც საპოლიტიკო დასთა ბრძოლას შეეხებოდა. კაპრივიმ მარტო თავისი საქმე იცოდა და ამ საქმეს არ გადუხვევდა ხოლმე ლაპარაკში. მაგრამ აქაო და წინად არ ეტანებოდა პოლიტიკასა, ეგ კიდევ იმას არა ნიშნავს, რომ კაპრივის არც ნიჭი და უნარი აქვს საპოლიტიკო მოღვაწეობისა. ღრმადა ვარ დარწმუნებული, რომ კაპრივი უკეთესია ყველა იმ კანდიდატებზე, რომელსაც-კი ასახელებდნენ ბისმარკის მოადგილედ. როცა ზღვათა სამინისტრო ჩააბარეს, მან დიდის მოხერხებითა და მხნეობით გამართა ფლოტი, მიეჩვია და შეითვისა ზღვათა-საქმეები. რა ვიცით, რომ საპოლიტიკო საქმეებშიაც ასეთს შნოს არ გამოიჩენს! კაპრივი დიდად განათლებულია და ყოველს საქმეს, რომელსაც-კი ჩააბარებენ, დიდის კეთილსინიდისიერებითა და თავ-გამოდებით ეკიდება ხოლმე. მე მგონია, სწორედ ბედნიერებაა, რომ წილი იმასა ხვდა კანცლერობისა. დარწმუნებულნი უნდა ვიყვნეთ, რომ მოწინაალმდეგე დასებს დიდის სამართლიანობით მოექცევა. ძნელია რაშიმე იმისი დაჯერება, მაგრამ თუ გონიერი პასუხი მიეცი, თავის დღეში პირად მტრობაში არ ჩამოგართმევს და გაჯავრებულის კილოთი არ გააბათილებს შენს პასუხს. ცხადია, რაც უნდა ნიჭიერი იყოს კაპრივი, მაინც იმასა და ბისმარკს შუა დიდი მანძილია. მაგრამ ეს მაინც არის სანუგეშო, რომ ისე ყველას არ დაბღუჯავს ხელში, როგორც ბისმარკი ჰბღუჯავდა და ამის გამო ცოტაოდნად თავისუფლად ამოისუნთქებენ ყველა დასნიო.

— ბისმარკის გაზეთი „Norddeutsche Alg. Zeitung“-ი ამბობს, რომ მიზეზი ბისმარკის სამსახურიდამ დათხოვნისა უფრო ის იყო, რომ არ უნდოდა ზედამხედველობა ჰქონოდა იმპერატორს იმისი, თუ ვისთან რა მოლაპარაკებაში იყო კანცლერი რეიხსტაგის წევრთა შორისაო. ეს იყო მიზეზი და არა ისა, რა ილაპარაკეს ერთმანეთში ბისმარკმა და ვინდჰორსტმაო. ამაზე „Vossische Zeitung“-ი ამბობს, რახან აქამდე მივიდა საქმე, მაშ ვიტყვით დაუფარავად, რაც ჩვენ ვიცით ამ საგნის შესახებაო. იმპერატორს საწყენად დარჩა ბისმარკისა და ვინდჰორსტის ლაპარაკი. ამიტომ იმპერატორი მიბძანდა კანცლერის სასახლეში და უნდოდა გაეგო, რას ნიშნავს თქვენი მოლაპარაკებაო. ბისმარკი ლოგინში იწვა. მაშინათვე წამოდგა, გაეგება იმპერატორს და როცა იმან თავისი ჰკითხა, ბისმარკმა უპასუხა, კერძო საქმეების შესახებ გვქონდა ლაპარაკი მე და ვინდჰორსტსაო. იმპერატორმა უბრძანა, მგონი, ნება მაქვს მოვითხოვო, რომ თავის დროზე ვიცოდე, რა მოლაპარაკება ჰქონდა ჩემს კანცლერს მთელის დასის მეთაურთანაო. ამაზე ბისმარკმა უპასუხა: მე არა მსურს როგორსამე კონტროლ ქვეშ იყოს ის, თუ რომელ დეპუტატს რას ველაპარაკები და რა საქმეს ვაწყობო. ამასთანავე ბისმარკმა დასძინა: კანცლერად დავრჩი დღემე მხოლოდ იმიტომ, რომ აღთქმა მივეცი ვილჰელმ I-ს, ვემსახურები თქვენს შვილი-შვილსა მეთქი. ეხლა მზადა ვარ დავანებო საქმეს თავი, თუ ჩემი მოქმედება არ მოსწონს ჩემს იმპერატორსაო. რაღა თქმა უნდა, რომ ასეთის ლაპარაკის შემდეგ ბისმარკი ველარ დადგებოდა კანცლერადაო.

ინგლისი. ინგლისში დიდი სურვილი აქვთ, მოსპონ როგორმე ზედა პალატა, ესრედ წოდებული პალატა ლორდებისა, სადაც მემკვიდრეობით სხედან 500—600 კაცი და იღებენ მონაწილეობას ქვეყნის კანონმდებლობის საქმეში. გაზეთი «Daily News»-ი ამბობს, რომ მაგ დაწესებულებამ დაჰკარგა ყოველივე პატივისცემა ერში და სიცოცხლის ძაფიცა მისი ლამის გაწყვეტასაო. ერი გაძლიერებულის მოუთმენლობით ელის მის მოსპობას და თან უფრო და უფრო მეტის მძულვარებით იხსენიებს ჩამომავლობით, მემკვიდრეობით მაღლა თაროზე წამომსხდარს კანონმდებლებსაო.

— სალისბერი ვერ ეწყობა პარნელს და საზოგადოდ ირლანდიის მეთაურებს. ლორდთა პალატაში ულაპარაკნია კიდეც ამ გვარად პარნელის კომისიის ანგარიშის შესახებ. ზემოხსენებულივე ლიბერალების გაზეთი ამბობს, რომ სალისბერს წინაალუდგნენ ლორდნი: როზბერი, გრანვილი, სპენსერი, გერშელი და სხვანიო. სალისბერი ისე ლაპარაკობდა, როგორც ადვოკატი, ადვოკატი თავ-გასული და ჩაცივებულიო. 1885 წელს, როცა ესაჭიროებოდა ირლანდიელების მომხრეობა, ნაციონალისტებზე ამბობდა, რომ ისინი პატრიოტები არიან, ღირსნი პატივისცემისაო, პარნელი მეთაურია ირლანდიელებისაო, ჰომრული კეთილშობილური სურვილია და ჰგავს იმ სურვილს, რომლის მეოხებითაც ვენგრიამ თავისი წილი გამოიტანა ავსტრიისაგანაო, ხოლო განაპირება და აბუება კაცისა (бойкотированіе) ძველებური ჩვეულებაა, რომელსაც კანონი ვერ შეეხებაო. 1890 წელს-კი, როცა ლიბერალ-დისიდენტების მომხრეობა ეპირება, სალისბერი ამტკიცებს, რომ პარნელი მოღალატეა და თავის მოკვეთის ღირსიაო, ჰომრული სახელმწიფოს დარღვევის ღონის-ძიებააო, აჩემება და აბუება კაცისა გასამართლებლად იგივე მოკვდინებაა ადამიანისა, იგივე კაცისკვლააო.

— გლადსტონსა ჰკითხეს რადიკალმა კლუბებმა, თქვენი აზრი შეგვატყობინეთ მუშათა პროგრამის შესახებაო. გლადსტონს მიუწერია სხვათა შორის პასუხად, რომ ჩემს ხანში არა მგონია სასარგებლო იყოს ჩემი აზრი ისეთის საქმის შესახებ, რომელიც ჯერ მალე არ განხორციელდებაო, მეტადრე მაშინ, როცა ჯერ არაფერი არ გაკეთებულა იმის განსახორციელებლად, რის განხორციელებაც უკვე ვიტვირთეთ და თავს ვიდეთ, როცა უდიდესი საქმე ირლანდიისა, თუმცა-კი წინ მიდის და მალე გადაწყვეტილ იქმნას კიდეც, მაგრამ ჯერ კიდევ მაინც გადაუწყვეტელია და სისხლ-ხორც შეუსხმელიაო. შემდეგ გლადსტონი თანაგრძნობით ლაპარაკობს, რომ პარლამენტში გამრავლდეს დეპუტატები მუშა კაცთა შორის არჩეულნიო.

## წვრილი ამბები

ჟიულ სიმონის შვილი, გუსტავ სიმონი, აუწყებს გაზეთს „Matin“-ს, რომ ბერლინის კონფერენციაზედ საომრად მომზადებულ სახელმწიფოთა იარაღის ახდის შესახებ არ იქნება მოლაპარაკება, რადგანაც იმის პროგრამას მხოლოდ მუშა ხალხის მდგომარეობა შეადგენს და არა სხვა საპოლიტიკო საქმეებიო.

— ლონდონიდგან დეპეშით იუწყებიან, რომ იქაურს სოციალისტებს პარიჟის კომმუნის დღობა უდღესასწაულნიათ. უწესოება არაფერი მომხდარა.

— ლონდონიდგან სწერენ ბრიუსელში, მუშათ მიერ პირის შეკვრა და მუშაობის აკვეთა აუცილებელიაო. ფულის პატრონები ჩივიან, რომ ქვა-ნახშირის უქონლობის გამო იძულებულნი ვართ ფაბრიკები დავკეტოთო.

— ალბიდგან იწერებიან, რომ პურის მცხობლებმა მუშაობა აჰკვეთეს და ქალაქი უპუროდ არის დარჩენილიო.

— „Allgemeine Reichs-Correspondenz“ ამბობს, რომ გრაფმა ჰერბერტ ბისმარკმა, როცა იმპერატორს თხოვნა მიართვა თავის დათხოვნის შესახებ, მოახსენა, რომ მამაჩემთან ერთად უნდა ვიცოცხლო და იმასთანვე მოვკვდეო, ხოლო იმპერატორმა უპასუხა: „მამის აგეთი სიყვარული ფრიად სასიქადულო თვისებაა, მაგრამ მე-კი, უნდა გამოგიტყდე, ის მეგონა, რომ სიცოცხლესაცა და სიკვდილსაც ჩემთან აპირებდითო“.

— პარლამენტის წევრთა შორის ხმა დადის, რომ თავადს ბისმარკს უარი განუცხადებია და ლაუენბურგელ ჰერცოგობის წოდება არ მიუღიაო.

— „Gaulois“-ს დეპეშით აუწყებენ, რომ იმპერატორს ვილჰელმსა და გენერალს ვალდერზეეს ერთმანეთს შორის უთანხმოება მოუვიდათო. ამის მიზეზი ის არის, რომ იმპერატორს ჰსურს სამხედრო სამსახურის ვადა ორს წლამდის შეამციროსო.

— „Nord. Allg. Zeit.“-ი იუწყება, რომ გერმანიის ყველა კუთხიდგან თავადს ბისმარკს დეპეშები მოსდის და ყველა ამას უცხადებს, რომ დიდად სამწუხარო და საწყენია თქვენი დათხოვნაო.

— ჩერნოგორიაში პოდგორიცას ახლოს მთავრის ნიკოლოზის ბძანებით საარხეოლოგიო აზრით მიწის თხრის დროს უნახავთ სხვათა შორის სამეფო სასახლის და იმ ქალაქის კედლების ნანგრევები, სადაც იმპერატორი დიოკლეტიანი დაბადებულა. გარდა ამისა მრავალი ფრიად საინტერესო და ისტორიისათვის საყურადღებო წარწერა აღმოუჩენიათ.

— „Scientific Americain“-ი ამბობს, რომ ბოსტონში ერთს სუროთმოძღვარს გამოუგონია საშუალება, რომლის შემწეობითაც შესაძლებელია ზღვის ღელვა ელექტრონულ ძალად გადიქცეს და სატეხნიკოდ გამოვიყენოთო. ამბობენ, შემდგარა კიდეც ამხანაგობა, რომ ეს ზღვის ღელვის ძალა ისე გამოიყენონ, როგორც სუროთ-მოძღვარი ურჩევსო.

— სამხრეთს ავსტრიაში ერთს კაცს გზა დაჰბნევია ბუჩქნარებში და დიდის ყიალის შემდეგ დაუნახავს სატელეგრაფო მავთული, მაგრამ გვიანღა ყოფილა: საწყალს დაღალულობით ბიჯის გადადგმაც აღარ შესძლებია. ამ გაჭირებაში რომ იყო, ერთი ხერხი მოიგონა, სადეპეშო მავთული გადასჭრა დანით იმ იმედით, რომ ამბის შესატყობად მაინც მოვლენ და მიშველიანო. მართლაც-და ცოტა ხანს უკან მოვიდნენ მუშები გაფუჭებულის მავთულის გასაკეთებლად და დაიხსნეს მომაკვდავი მგზავრი.

— კლერმონ-ფერრანში ერთს სახლს ცეცხლი მოეკიდა. ამ დროს მოისმა დიდი წივილ-კივილი და სახლის მეოთხე სართულში ცეცხლის მქრობლებმა ოთხი ქალი დაინახეს, მაგრამ მათი დახსნა ყოვლად შეუძლებელი იყო, რადგანაც სახლის კიბე მთლად ანთებული იყო და ცეცხლის-მქრობლების კიბე-კი ისე მოკლე, რომ ქალებამდის ვერა სწვდებოდა. ამ დროს გამოჩნდა ერთი მუშა თითქმის რაღაც ნაირის მანქანებით ავარდა ზევით და მიუახლოვდა ქალებს, მაგრამ სახლი მთლად ალ-მოდებული იყო და ქალების თოკით ჩამოყვანა არ შეიძლებოდა. მაინც მამაცი მუშა ავარდა სახურავზედ, რომელიც ის იყო უნდა ჩავარდნილიყო, გადუგდო ბაწარი ქალებს და თითო-თითოდ ამოიყვანა, მერე იქიდგან მეორე სახლის სახურავზე გადავიდნენ და ბოლოს ძირს მშვიდობით ჩამოვიდნენ თოკით.

— „Нов. Вр.“-ში მოყვანილია შემდეგი ფრიად საინტერესო ცნობანი იმის შესახებ, თუ რა ნაირად მოქმედობს მუცელში ახლად ჩასახებულ ცხოველზედ ან კვერცხზე, როცა დედა დიდის ყურადღებით უცქერის გარეშე საგანს ან რამე მოვლენას.

მუძუ-მწოველთა, ქვემძრომთა, თევზთა, მწერთა, კიბოს-მსგავსთა, რბილტანიანთა და სხვათა შორის მრავალი მაგალითია, რომ ცხოველები იმ ფერს მიიღებენ ხოლმე, რა ფერიც მათს გარემო მყოფ საგნებსა აქვთ. ზოგიერთი თევზები, როგორც პუშე ამტკიცებს, იმ მდინარის ან აუზის ძირის ფერს შეითვისებენ ხოლმე, სადაც სცურავენ. მხოლოდ თუ თვალები ამოთხარეთ, მაშინ ფერს ვეღარ იცვლიან იმის-და მიხედვით, თუ რა ფერის საგნების ახლოს იმყოფებიან.

ყველამ იცის, რომ გუგული მალულად უდებს ხოლმე ბუდეში სხვა-და-სხვა ფრინველებს თავის კვერცხებს და საკვირველია, რომ რა ფერის კვერცხსაც ნახავს, თითონაც იმ ფერისას დასდებს. ამ გვარ მაგალითს დაბადებაშიაც ვკითხულობთ. მაგალითებრ: „და აიღო იაკობმა ალვის ხის, ნუშის და ჭანდრის წკეპლები, ჩამოათალა ქერქი, სანამ თეთრი ზოლები არ გამოჩნდა, და დააჭრელა და ჩააწყო იმ გობებში, სადაც ნახირი მოდიოდა ხოლმე წყლის სასმელად და სადაც ცხვრებს დაამაკებინებდნენ ხოლმე. და ამ ცხვრებს დაებადებოდათ ჭრელი ბატკნები“.

ხალხში გავრცელებულია აზრი, რომ ორსული ქალი უნდა ერიდოს მახინჯის კაცის დანახვასაო, რომ შვილი მახინჯი არ გამოუვიდესო, და მეცნიერებაც თანახმაა ამ აზრისა. ლეფატური მოგვითხრობს, რომ ერთს ქალს უხელო ბავშვი დაებადა, რადგანაც, ორსულად რომ იყო, ერთის ავაზაკის დასჯას დასწრებოდა და ძლიერ შეშინებულიყო, როდესაც ჯალათს ავაზაკისათვის ხელი მოეჭრა. მალბრანშს კიდევ უფრო განსაცვიფრებელი მაგალითი მოჰყავს. ერთმა ორსულმა ქალმა უყურა, როდესაც დამნაშავე აწვალეს და დაამტვრეს ურმის თვალზე, და ამ გარემოებამ ისე იმოქმედა ქალზედ, რომ სრულიად დამტვრეული და დასახიჩრებული ბავშვი დაებადა და ყველაზედ უფრო საკვირველი ის არის, რომ სხეული ბავშსაც იმ ალაგას ჰქონდა კნებული, სადაც დასჯილს.

საფრანგეთში რომ პირველად რევოლიუცია მოხდა, ერთი ახირებულ ნიშნიანი ქალი დაიბადა: გულზე ახალს დაბადებულს ფრიგიული ქუდი ჰქონდა გამოხატული. ეს ქუდი რესპუბლიკის ნიშანი იყო და ამიტომ მთავრობამ პენსია დაუნიშნა იმ ბავშვის დედას. აი კიდევ ერთი მაგალითი ესლანდელის ცხოვრებიდგან: 1889 წლის სექტემბერში სენ-კენტერს (ენის დეპარტამენტში) ერთი ბავშვი დაიბადა, რომელსაც მკერდზე შესანიშნავ ეიფელის ციხის სურათი აქვს შავად გამოხატული.

## გასართობი

ჟურ. „Стрекоза“-ში რამდენიმე §-ია მოყვანილი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იქცეოდეს საზოგადოება კონცერტებში, რათა დაცულ იქმნას წესიერება და მშვიდობიანობა არ დაირღვესო.

§ 1. კიტრსა და ვაშლს ნუ ესვრით ხრინწიანის ხმით მომღერალ არტისტს, რადგან იმისი ბრალი არ არის, თუ ხმა არა აქვს, ბუნებას შეუქმნია ასეთი.

§ 2. სტვენას ნუ დაუწყებთ ლექსების ცუდად წამკითხველთ, ვინაიდგან არც ისინი არიან ბრალეულნი, თუ კარგად კითხვა ლექსისა არ იციან. აქამდისაც-კი არ არის ჩვენში სადეკლამაციო ხელოვნების სასწავლებელი და აბა სად უნდა ესწავლათ.

§ 3. შეუნდეთ ცუდს მეჭიანურესა და პიანინოზედ დამკვრელს შეცდომა, რამეთუ ყველა რუბინშტეინადა და სარასატედ არ მოვლენილა ამ ქვეყნად.

§ 4. როცა კონცერტში წასასვლელად ემზადებით, უწინარეს ყოვლისა „კაპლი“ დალიეთ, გული დაიმშვიდეთ, რათა ესტეტიკასა და ხელოვნებას მეტის-მეტ მუშტრის თვალით აღარ დაუწყოთ სინჯვა.

§ 5. თუ კონცერტი ვერ გართობთ და მოწყენილნი ხართ, დაუწყეთ არშიყობა რომელსამე „ცუგრუმელას“ და გართობით, შეგიძლიანთ მომღერალ-მემუსიკეებს ყურიც აღარ უგდოთ.

§ 6. ძარღვებ-აშლილ ქალბატონებს, კონცერტზედ მისულთ, ვურჩევთ, რომ სულ ნუ შევლენ საკონცერტო დარბაზში და ისევ სხვა ოთახში ირჩიონ ყოფნა.

§ 7. ყოველ შემთხვევისათვის თან ბამბის

ძლა უნდა გქონდეთ, ვინიცობაა ყურის დაცობა მოიწადინოთ.

§ 8. თუ კონცერტს შემდეგ ცეკვაა დანიშნული, ძალიან კარგს იზამთ, რომ სწორედ იმ დროს მიხვიდეთ, როცა ცეკვა იწყება, კონცერტი-კი ღარიბთა სასარგებლოდ შესწირეთ.

§ 9. თუ კონცერტზედ ცეკვამ მეტად მოგაწყინათ და გული გადაგიღალათ, ბუფეტისკენ მიაშურეთ, იქ გაერთობით.

§ 10. თუ გადაკრულში ბრძანდებით, კონცერტის თავით ბოლომდე გამეორებას ნულარ მოითხოვთ იმ დროს, როცა საზოგადოება სახლისკენ მიეშურება და ლამპარებს აქრობენ კიდეც: რიგი არ არის.

**

გენერალი ედლინსკი ძალიან ენა კვიმატი და მახვილი კაცი იყო. სულ ბოლოს დროს ეს კაცი თ. ბარიატინსკისთან დანიშნეს. ფელდმარშალი ბარიატინსკი ტკბილად დაუხვდა და უთხრა:

— აბა ეხლა-კი, ედლინსკი, ჩემთან დაგნიშნეს, რომ მშვიდი, არხეინი ცხოვრება გქონდეს... ამ სამსახურშივე მოკვდები...

— მეტიჩარობა, თქვენო ბრწყინვალებავ, არსად მიყვარსო, უპასუხა ედლინსკიმ, თუმცაკი თავისი სიტყვა ვერ შეასრულა და ბარიატინსკიზედ ადრე გარდაიცვალა.

**

ფრანკლინს ინგლისში მისვლისას ერთი ზანგი ჰყავდა მოსამსახურედ. როცა ინგლისში მოისაქმიანა და გზას გაუდგა, ზანგს დაეკითხა ფრანკლინი, როგორ მოგწონს ინგლისიო?

— სულაც არ მომწონს, უპასუხა ზანგმა: აქ ყველაფერი მუშაობს—წყალი, ცეცხლი, ქარი, ბოლი, ძაღლი, ხარი და ცხენი, ყველაფერი, ღორს გარდა. ამიტომაც მთელს ინგლისში ერთად-ერთი კეთილშობილი სულდგმული ღორია.

# დეპეშა

20 მარტი

პეტერბურგი. „Прав. Вѣст.“-ის სიტყვით, 16 მარტს მათ იმპერატორებით უდიდებულესობათა ნახეს პეტერბურგის სამხედრო საპატიმრო, პატიმარნი სათითაოდ დაათვალიერეს და ყველას გამოელაპარაკნენ. ხელმწიფემ ბძანა, რომ პატიმრების ვალა ერთის თვეით შემოკლდესო. ერთმა პატიმართაგანმა გვარდიის ულანმა მიიქცია დედოფლის ყურადღება თავისის გულწრფელის შენანებით. გამოძიებიდამ აღმოჩნდა, რომ იგი გასანთავისუფლებელი ყოფილა უმაღლესად მიღებულის წყალობის თანხმად. მეორე დღეს გადახდილ იქმნა პარაკლისი და 61-მდე განთავისუფლებულნი ჯარის კაცნი—ნახევარი ყველა პატიმართა რიცხვისა—მხურვალე ლოცვას აღავლენდნენ ძვირფასის სიცოცხლისათვის მონარქისა, რომლისა წყალობასა არა აქვს დასასრული.

ლონდონი. კანეიდამ იწერებიან დეპეშით, რომ შაქირ ფაშას აუწყა ოსმალეთის ელჩმა საბერძნეთში, ვითომ კუნძულზე შეიარაღებულ ჯარის კაცთა გაგზავნას აპირობენ საბერძნეთიდამ. ამის გამო სამხედრო მთავრობამ მოუმატა სიფხიზლეს. მისულ ჯარის კაცთა მუქარა, რასაკვირველია, დააგვიანებს იმ ფირმანის შესრულებას, რომელიც შეეხება საყოველთაო პატიებასა და სამხედრო სასამართლოების გაუქმებას. საზოგადოებათა პალატაში სერ ჯემს ფერგიუსონმა გამოაცხადა, რომ ათინაში გავრცელდა ხმა, ვითომ ერთი თუ რამდენიმე გემი ოსმალეთისა იტალიის ბაირაღით მიდის კრიტისაკენაო.

21 მარტი

პეტერბურგი. ქალაქების გასუფთავებისათვის სამკურნალო დეპარტამენტს უნდა დაწესოს, რომ შემოღებულ იქმნას ცალკე დავთრები, რომელშიაც მდგმურნი დასწერენ, თუ რამ საჩივარი აქვთ სახლის პატრონზე. დავთრებს შეამოწმებენ განსაკუთრებანი მკურნალნი, სისუფთავის დასაცველად განწესებულნიო.

სამარა. ვოლგა განთავისუფლდა ყინულისაგან.

ოდესა. მემკვიდრე პრინცი იტალიისა, რომელიც მოგზაურობს აღმოსავლეთის ქვეყნებში, ჰერცოგ დეპოლენცოს სახელით, 24 მარტს ბათუმს მოვა სტამბოლიდამ გემით „Одесса“-თი; იქიდამ გაემგზავრება იმიერ-კასპიის მხარეს, ხოლო როცა უკან დაბრუნდება, გზად გაივლის ყირიმში და ოდესასა ჰნახავს.

პარიჟი. დღეს გაიმართა გამოფენა აივაზოვსკის სურათებისა რუსეთის საელჩოს წევრთა თანადასწრებით.

ბერლინი. „Hamburger Nachrichten“-ი იუწყება, რომ გუშინდელ ფაკელცუგის დროს თავად ბისმარკს ჰკითხეს, ხომ არ აპირობთ ბერლინში ყოფნასა ხოლმეო და იმან უპასუხა, შესაძლებელია კიდევ გავჩნდე რეიხსტაგშიო; ხოლო ჩემს ხანში ხელ-მეორედ ასეთი მგზავრობა, როგორიც ეხლა მომიხდა, ძნელიაო. „რაიცა შეეხება ჰერცოგის ღირსებასა, დასძინა ბისმარკმა, ამისი გარემოება „იმპერიის მაჩვენებელში“ იყო გამოცხადებულიო და რაც იქ გამოცხადებულია, ის მართალიაო“. მუშათა გაფიცვის გამო სთქვა თ. ბისმარკმა, რომ ეგ საქმე ისე დიდად საშიში არ არის და გარდამავალიაო; უფრო სამწუხარო ის იქმნებოდა, რომ მაგ გაფიცვის გამო სამუშაოს პატრონთ დაეკარგოთ ხალისი გარჯისა და მუშაობისაო.

„იმპერიის მაჩვენებელში“ გამოცხადებულია, რომ ბარონი მარშალ ფონ-ბიბერშტეინი დაინიშნა სტატს-სეკრეტრად გარეშე საქმეთა სამინისტროსა.

პეტერბურგის ბირჟა, 20 მარტი.

| | მყიდველნი. | გამყიდველნი. | გარიგება. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო . | — „ | „ | 7 35 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — „ | „ | 146 37 |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | 1 08 | — „ | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . | 230 | — „ | — „ |
| —მეორისა . . . . . | 216 | — „ | — „ |
| —მესამისა . . . . | 217$^1/_2$ | — „ | 215$^3/_4$ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . | — „ | — „ | — „ |

საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყჟ (1890) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ 7398.
ძველი ინდიქტიონი მე-14
ახალი ქორონიკონი—უპბ=482 წელიწადია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.
ახალი ინდიქტიონი მე-4.
ამისი ქორონიკონი მე-46 წელიწადია.
დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.
1890 წლის ზედნადებია—17.

მარტი 31 დღე არის

22 დღე ხუთშაბათი. ქართველ. წმიდისა მღვდელ-მოწამისა ვასილისა. კათოლ. წმ. გაბრიელ მთავარ-ანგელოზისა. სომეხ. 39 დღე დიდ-მარხვისა. მზე ამოდის 5—39, ჩადის 6—28. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—3, მთვარე 14 დღისაა.

# განცხადებანი


ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკი ამით აცხადებს, რომ 27 მარტს 1890 წელს, შუადღის თორმეტს საათზე, ბანკის შენობაში, ფრეილინის ქუჩაზე საკუთარს სახლში, თავისუფალ ვაჭრობით გაიყიდება პეტრუსა მინაევის ძის მაკაროვისეული სოფლის უძრავი მამული: სახნავი, სათიბი მიწები ერთ-სართულიანის ქვიტკირის სახლითურთ, თავისის მოწყობილებით, ეზოთი და ხეხილისა და ვენახის ბაღით. სულ მამული სივრცით 177 დესიატინა და 7 ოთხკუთხი საჟენია და იმყოფება ტფილისის გუბერნიის ტფილისისავე მაზრაში სოფელს თხინვალში. საზღვრები აღნიშნულია ტფილისის ოლქის სასამართლოს უფროსის ნოტარიუსის გირავნობის მოწმობაში, რომელიც შედგენილია 19 ივნისს 1875 წელს № 644-ით. ვაჭრობა დაიწყება 3,773 მანათიდამ და 93 კაპეიკიდამ. ვისაც ყიდვა სურს, შეუძლიან ყოველ დღე დაწვრილებითი გარემოება ამ საქმისა ბანკის სამმართველოში შეიტყოს. (3—2)

ტყავის ქარხანა

გ. ადელხანოვისა და ამხ.

ვსთხოვთ მსურველთ აიღოს იჯარით და მოგვიტანოს ქერქი მუხისა და ტირიფისა. ვისაც ჰსურს ამ იჯარის აღება, მიჰმართოს ჩვენს უმთავრესს კანტორას: ტფილისს, ერევნის გზა-ტკეცილზედ, მნაცაკანოვის ხიდის ყურთან, საკუთარს სახლში. (3—2)

ჩვენ წავართვით ძმათა პეტროკოკინოს ოდესის ფირმას იმის უფლება, რომ ჰყიდოთ ჩვენი.

საზოგადო წასასმელი

ლითონთა საწმენდავად

საუკეთესო ღონისძიება

მთელის ქვეყნის მიერ ზედ!

წავართვით იმ მიზეზით, რომ იგი საქვეყნოდ აღიარებულ ჩვენის ლითონთა საუკეთესო წასასმელის მაგიერ ყალბს წასასმელსა ჰყიდის, ჩვენის ფაბრიკის ყუთის მსგავსს ყუთში გაკეთებულს.

—შემომკვეთლებს ვთხოვთ პირდაპირ ჩვენ შემოგვიკვეთონ.




მყიდველებსა ვთხოვთ ყურადღება მიაქციონ აქ დაბეჭდილს სურათს ჩვენის ფაბრიკის მარკისას. ეს სურათი ლითონის წასასმელის ყველა კოლოფზეა. თუ კოლოფს ასეთი სურათი არა აქვს და მხოლოდ ამისი მსგავსია, ყალბი იქნება (26—8)

უმაღლესად დამტკიცებული კავკასიის საამხანაგო საქონლის ვაჭრობის ამხანაგობაში

მიღებულია დასნეულებულ ვაზების საქმისოდ:

ვერმორელის აპარატები

და ზოგიერთი სათადარიგო მოწყობილობა (ვინიცობაა, აპარატს გაუტყდა რამე), ტყავის საბერველები გოგირდის ფხვნილისათვის, საუკეთესო ინგლისური შაბიამანი, გოგირდის ფხვნილი (сѣрный цвѣтъ) და სხვ.

ვინც ვერმორელის აპარატებს გამოიწერს, იმას დაეთმობა მეურნე ვ. დ. ინანოვის წიგნი რუსულ ენაზე.

„მოკლე პრაქტიკული დარიგება ვენახების საქმისოდ“.

სხვა-და-სხვა მოწყობილობა და მასალა

ღვინისა და ვენახის წვენის გასაწმენდად და გამოსაკვლევად.

ვისაც ყიდვა სურს, ბე უნდა გამოგზავნოს. (50—2)

საწყობი

მ. ადელხანოვისა და ამხ.

ფაბრიკისა და ქარხნის საქონლისა

ერევნის მოედნისა და შუა ბაზრის კუთხეში, სახლი გენერალ ტერ-ასატუროვისეული.

მზა ფეხსაცმელები მამრთა და მდედრთათვის ახალის სხვა-და-სხვა ფასონისა ისყიდება წვრილ-წვრილად იმავე ფასად, როგორც ფაბრიკებში.

ტყავის საქონელი: სამოგვე (юфть) თეთრი და შავი, ყოველგვარ ხარისხის ცხენის ტყავი, თალათინები (აპოიკები), მეშები (საფიანები), კუმუხტები (ჩაგრენები), დაჭიმული სამოგვე (юфтовыя вытяжки), ნახევრად მოთელილი ტყავის საქონელი (полувалы), ფეხსაცმლის ძირები ანუ ლანჩები (პადოშები), საუნაგირე და მოუქნელი ტყავები (сыро-мятныя кожи).

მოთელილ ნაბდების საქონელი

ყველა ხარისხის მოთელილი ნაბადი და ლეკური ნაბდები.

უმთავრესი კანტორა ტყავების ქარხნისა იმყოფება: ტფილისში, ერევნის გზა-ტკეცილზე, საკუთარს სახლში. 10—2

ტფილისში ქალაქის შუაგულ, გოლოვინის პროსპექტზე, ბანკირის ჩითახოვის სახლში, კრუჟოკის გვერდზე, გამართე მდიდრულად მორთული ნომრები:

„დ ა ნ ი ა“

ყოველ მხრით მოხერხებული. ფასი თითო ოთახისა 60 კაპ. დაწყებული 5 მანათამდე დღე და ღამეში.

თთვეობით ბევრად ნაკლებ შეიძლება.

მსურველთათვის საბანებელი ვანაც არის: ცივისა და თბილის წყლისა.

კანტორა თავსმდებია, რომ მოსამსახურე ქალნი და კაცნი თავაზიითა და პატივისცემით მოექცევიან მდგმურთ.

საჭმელ-სასმელი გემრიელია, შინაური, სუფთად გაკეთებული.

სადილი ორ-ფერი საჭმელი—55 კ. } მსურველთ ფინჯანი ყავა.
— სამ-ფერი საჭმელი—75 კ. }

გვყავს საკუთარი მოსარეცხე და იფრინდა აქეთ-იქით გასაგზავნად.

(30—8) ნომრების პატრონი პეტრე საყვარელიძე




სამეურნეო მაშინებისა და იარაღების საწყობი

გ. ფ. ეკკერტის სააქციონერო საზოგადოებისა

ბერლინში

და სხვა ქარხნებისა აქვს გამართული

ე. ფ. აუფერმანს ტფილისში,

მიხეილის ქუჩაზედ, № 117.

ფოლადის გუთნები

ერთ-სახნისიანი ღრმად-მხვნელი და ბევრ სახნისიანი გუთანი.

სალეწი მაშინა (ცხენით და ორთქლით სატრიალებელი).

მარცვლის გამრჩევი და გამწმენდი მაშინები.

ინგლისური სანიავებელი, გორვეულის გამომრჩევი და სხვანი.

სამკალი მაშინა.

სათიბი მაშინა

ფოცხები, სათესი მაშინები, საროში და სხვანი.

რაც პარიზის გამოფენიდგან მაშინები დარჩა, იმაში მყიდველს მანეთზე ორი შაური დაეთმობა უწინდელ ფასიდგან. (50—11)